

## საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

(მეორე რედაქცია)

### პრეამბულა

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა და გარე საუნივერსიტეტო შეფასება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „თჰუ“) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

### მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის თჰუ-ში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) თჰუ-ს მიერ ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ წარდგენა;

ბ) თჰუ-ში რეალიზებული საბაკალავრო, სამაგისტრო და მასთან გათანაბრებული (ერთსაფეხურიანი) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება;

გ) აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;

დ) აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი;

ე) პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად;

2. უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს მათ თაობაზე შიდასაუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენციებს, სწავლობს უცხოურ პრაქტიკას და ხელს უწყობს მის დანერგვას თჰუ-ში.

**მუხლი 2. შიდა შეფასების (თვითშეფასების) მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები:**

1. თჰუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) შეიმუშავებს საბაკალავრო, სამაგისტრო (და მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი) საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის ინსტრუქციებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სტანდარტების მიხედვით;

ბ) სასწავლო წლის დასაწყისში საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ წინადადებებს;

გ) შეარჩევს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შემფასებელს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამზადებს თჰუ აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან შემფასებელს, უზრუნველყოფს პროგრამის შეფასებისას კონფიდენციალობის დაცვას; შიდა შემფასებელი (ექსპერტი), არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები;

2. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას სწავლების ყველა საფეხურისათვის;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის გზამკვლევს შიდა შეფასების ექსპერტებისთვის;

გ) სილაბუსის შეფასების ფორმას და უზრუნველყოფს შიდა შემფასებლის მიერ მის შევსებასა და დასკვნის წარმოდგენას;

3. შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების მიზნით რეკომენდაციებსა და კრიტერიუმებს.

**მუხლი 3. გარე შეფასების მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები:**

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ახალი ვადით მოპოვების მიზნით 5 წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს განაცხადს, ავსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარს და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ შესაბამისობის დადგენის მიზნით იწვევს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტებს;

2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

3. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფარგლებში უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განაცხადოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატების შესახებ და შესაბამისი პროცედურების გასავლელად მოიწვიოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ექსპერტები;

4. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ახალი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამატების მიზნით უფლებამოსილია შეავსოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, წარადგინოს სააკრედიტაციო განაცხადი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შესაბამისი პროცედურების გასავლელად მოიწვიოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები;

5. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და პროგრამების ინტენაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერების მიზნით ნებაყოფლობით და სურვილისამებრ იწვევს უცხოელ ექსპერტებს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში არჩევს გარე შემფასებლებს.

6. უცხოელი ექსპერტისა ან/და გარე შემფასებლის მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით.

#### **მუხლი 4. აკადემიური პერსონალის შეფასება**

1. აკადემიური პერსონალის ხარისხის შეფასება და განსაზღვრა ხორცილდება ორი მიმართულებით:

- ა) სწავლების კომპეტენციის დადგენით;
- ბ) სამეცნიერო კომპეტენციის დადგენით.

2. აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის დადგენისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:
  - ა) სილაბუსის შემუშავება, სწავლების და შეფასების სწორი მეთოდების გამოყენება;
  - ბ) პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
  - გ) ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება;
  - დ) სტუდენტის სამართლიანი შეფასება;
  - ე) დარგობრივი კომპეტენციების ცოდნა;
  - ვ) სასწავლო კურსის განხორციელების პროცესის მართვა;
  - ზ) კონსულტაციების გამართვა.
3. აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:
  - ა) აკადემიური პერსონალის თვითშეფასება;
  - ბ) აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;
  - გ) შეფასება სტუდენტის მიერ;
  - დ) სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;
  - ე) სილაბუსის შემოწმება.
4. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციის შეფასებისას თპუ-ში სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სპეციალურ ფორმებს;
5. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება აკადემიური პერსონალის შეფასების მნიშვნელოვანი მეთოდია, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტა-კითხვარებს;
6. სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის ბოლოს; გამოკითხვა არის ანონიმური და აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა;
7. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, მათი საჯაროდ გამოქვეყნება და რეკომენდაციების წარდგენა.

8. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს რეკომენდაციებს აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

### **მუხლი 5. სტუდენტთა შეფასება**

1. სასწავლო პროცესის შეფასების უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება;
2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დგინდება:
  - ა) საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული საგნების სირთულის ხარისხი და დონე;
  - ბ) შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
  - გ) აკადემიური პერსონალის პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
  - დ) სტუდენტების მომზადების დონე.
3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განზოგადებული ანალიზის შედეგები ქვეყნდება საჯაროდ თჰუ ვებგვერდზე დიაგრამების სახით, ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა ან/და სასწავლო კურსების მიხედვით.
4. აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით.

### **მუხლი 6. პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი**

1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
2. აღნიშნული პირების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევის მეთოდით;
3. კვლევა ტარდება გამოკითხვის მეთოდით;
4. კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევს შესაბამის მიმართულებებს - უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნილებები და სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული პროგრამის განვითარების მიმართულებით.

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც ადგენს სხვადასხვა სახის კითხვარებს;
6. გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (მემორანდუმები).

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის ინსტრუქცია

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს ქვემოთჩამოთვლილ კომპონენტებს:

1. პროგრამის თავფურცელი მოიცავს:

ა) საბაკალავრო პროგრამის სახელწოდებას;

ბ) მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

გ) ფაკულტეტის დასახელებას, მიმართულების/დარგის/ქვედარგის/სპეციალიზაციის სახელწოდებას კოდების მითითებით;

დ) პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების ვადას;

2. პროგრამის მეორე ფურცელზე განთავსებულია საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მონაცემები – CV;

3. სწავლების ენა

4. პროგრამის ძირითად ნაწილს საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება წარმოადგენს და ის მოიცავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, პროგრამის არწერას, მისიასთან შესაბამისობას, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მიზნებს, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებს, სწავლის გაგრძელების საშუალებას, პროგრამის უზრუნველყოფას ადამიანური და მატერიალური რესურსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასების ასქულიან და მრავალკომპონენტთან სისტემას, უნივერსიტეტში დანერგილი შეფასების სისტემას კომპონენტებისა და ქულების მითითებით, სწავლის შედეგების რუკას, პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

5. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა - სასწავლო გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური ფორმით და მოიცავდეს მოდულებისა და სასწავლო კურსების ჩამონათვალს, კოდებს, სასწავლო კურსებისა და მოდულების სტატუსს (სავალდებულო, არჩევითი), სასწავლო კურსებისა და მოდულების განაწილებას ზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებად (I-VIII) შესაბამისი კრედიტებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, საგანზე დაშვების წინაპირობას.

6. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს შედგენილი უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერისა და დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).

7. პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისი სილაბუსები.

8. დამატებითი (minor) სპეციალობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასახელებას, აგრეთვე

- ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება, რომელიც მოიცავს მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებულ პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობას;
- ბ) დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობებს;
- გ) პროგრამის სტრუქტურა - სასწავლო გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური ფორმით და მოიცავდეს მოდულებისა და სასწავლო კურსების ჩამონათვალს, კოდებს, სასწავლო კურსებისა და მოდულების სტატუსს (სავალდებულო, არჩევითი), სასწავლო კურსებისა და მოდულების განაწილებას ზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებად (IV-VIII) შესაბამისი კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს.
- დ) პროგრამა ცალკე უნდა მოიცავდეს არჩევით საგანთა ჩამონათვალს.
- ე) პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისი სილაბუსები.
9. პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ცალკეული სასწავლო კურსების არსებობას, არამედ მოდულების არსებობას. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა.



სამაგისტრო (და მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი 120 კრედიტიდან მინიმუმ 30 უნდა დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომს; სასურველია, 10 კრედიტი დაეთმოს უცხო ენის სავალდებულო სწავლებას. რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის შემდეგი სტრუქტურა:

ა) სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო საგნები

ბ) სავალდებულო სპეციალიზაციის მოდულები/სასწავლო კურსები

გ) არჩევითი მოდულები/სასწავლო კურსები

დ) სამაგისტრო ნაშრომი

ე) სასურველია ასევე პრაქტიკული კომპონენტის არსებობა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის თავფურცელი, რომელიც მოიცავს:სამაგისტრო პროგრამის სახელწოდებას; მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს ქართულ და ინგლისურ ენებზე;ფაკულტეტის დასახელებას, მიმართულებებს/დარგის/ქვედარგის/სპეციალიზაციის სახელწოდებას კოდების მითითებით; პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების ვადას;

ბ) პროგრამის მეორე ფურცელზე განთავსებულია პროგრამის ხელმძღვანელის მონაცემები – CV;

გ) სწავლების ენა.

3.პროგრამის ძირითად ნაწილს სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება წარმოადგენს და ის მოიცავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, პროგრამის არწერას, მისიასთან შესაბამისობას, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მიზნებს, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებს, სწავლის გაგრძელების საშუალებას, პროგრამის უზრუნველყოფას ადამიანური და მატერიალური რესურსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასების ასქულიან და მრავალკომპონენტიან სისტემას, უნივერსიტეტში დანერგილი შეფასების სისტემას კომპონენტებისა და ქულების მითითებით, სწავლის შედეგების რუკას, პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას, პროგრამის ანალოგებს, საკვლევ თამეტიკას.

4. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები;

უნდა მიუთითოს:

ა) რომელი დარგის ბაკალავრები დაიშვებიან სამაგისტრო პროგრამაზე (ფართო თუ ვიწრო პროფილის);

- ბ) რა დამატებითი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს კონკურსანტმა (მონაწილეობა კონფერენციებში, ექსპედიციებში, სამუშაო გამოცდილება, უცხო ენის ცოდნა და სხვ.);
- გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- დ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თაობაზე ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის შესაძლებლობა საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- დ) სამაგისტრო პროგრამის ანალოგი; უნდა მიეთითოს ევროპის, აშშ-ის ან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ვებ-გვერდები და ანალოგი პროგრამის დასახელება.

#### 5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- ა) მიზანი - მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სამაგისტრო პროგრამის შემუშავების საჭიროება და პოტენციალი;
- ბ) შედეგი - ადეკვატურად უნდა იყოს განსაზღვრული სწავლის შედეგები; სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები;
- გ) დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების საშუალება - სად შეეძლება მუშაობა ან სწავლის გაგრძელება აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს;

#### 6. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა;

პროგრამა სტრუქტურირებული უნდა იყოს (მოდულები, ბლოკები (არჩევითი, სავალდებულო) საგნები). ცხრილის სახით უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამის საგნების ჩამონათვალი, მათი კრედიტები და განაწილება სემესტრების მიხედვით. უნდა მიეთითოს საგნების/მოდულების სტატუსი სავალდებულო/არჩევითი. უნდა მიეთითოს კვლევითი კომპონენტის წილი; პროფესიული პრაქტიკის წილი (არსებობის შემთხვევაში), სამაგისტრო პროგრამის უზრუნველყოფა საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

#### 7. საგნების სილაბუსები;

ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული საგნის სილაბუსი. მოწვეული ლექტორის შემთხვევაში სილაბუსში აუცილებლად უნდა მიეთითოს მისი ძირითადი სამუშაო ადგილი.

#### 8. კვლევითი კომპონენტი;

სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდირებულ სამეცნიერო-შემოქმედებით თემატიკას, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა, ასევე ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული სამეცნიერო გრანტები (თემა, დონორი ორგანიზაცია, პროექტის ხანგრძლივობა). პროგრამას დანართის სახით ერთვის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების კრიტერიუმები.

#### 9. სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

დეტალურად უნდა აღიწეროს, სად, რა პირობებში უნდა განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი (აპარატურის ჩამონათვალი, კომპიუტერული ბაზის არსებობა, სამეცნიერო ლიტერატურა და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ კვლევის სრულყოფილი წარმართვისთვის

აუცილებელია ისეთი აღჭურვილობის გამოყენება, რომელიც უნივერსიტეტს არ გააჩნია, უნდა მიეთითოს, სად (რომელ დაწესებულებაში) შესრულდება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევის ეს ნაწილი. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს ამ ორგანიზაციის თანხმობის წერილი. თანხმობის წერილი წარმოდგენილ უნდა იქნეს ასევე იმ პარტნიორი ორგანიზაციებიდან, სადაც დაგეგმილია მაგისტრანტების პროფესიული პრაქტიკის ჩატარება.

პროგრამაში პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის კრედიტის ათვისებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით უნივერსიტეტი აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს/ხელშეკრულებას შესაბამისი პროფილის პრაქტიკის ობიექტთან.

საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმა

საბაკალავრო პროგრამა:	
პროგრამის ხელმძღვანელი	

1. წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე

შევსებულია ყველა პუნქტი	
არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	
ბოლომდე არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	

მიუთითეთ, რომელი პუნქტებია შესავსები

---

2. საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებებთან

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

---

3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ-ე ბრძანებასთან /ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ/

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

მიუთითეთ, როგორი კვალიფიკაცია უნდა ყოფილიყო მითითებული

---

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მითითებულია სწორად	
არ არის სწორად მითითებული	

**5. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ინგლისურად**

მითითებულია სწორად	
არ არის სწორად მითითებული	

**მიუთითეთ, როგორ უნდა ყოფილიყო მითითებული**

**6. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და CV**

შეესაბამება პროგრამის მიზნებს	
არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს	

“შესაბამისობაში” იგულისხმება: აკადემიური ხარისხი, პროგრამის შესაბამისი კვლევისა და სწავლების გამოცდილება

**კომენტარი:**

**7. პროგრამის მონაწილე ლექტორების რაოდენობა**

თჰუ აკადემიური პერსონალი	
მოწვეული, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგი	
მოწვეული, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგი (დასაშვებია მხოლოდ პრაქტიკუმების ჩასატარებლად, სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელად)	
მონაწილე პედაგოგების საერთო რაოდენობა	

**8. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათების დამაჯერებლობა (ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას აფასებს და ფორმას ავსებს შესაბამისი დარგის სპეციალისტი)**

პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია კარგად	
პროგრამის მიზანი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის	
პროგრამის შედეგები ჩამოყალიბებულია კარგად	

პროგრამის შედეგები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის	
დასაქმების სფეროები მითითებულია სწორად	
დასაქმების სფეროები სწორად მითითებული არ არის	

**კომენტარი:**

---



---

**9. გაწერილია თუ არა პროგრამის შედეგები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

**10. შესაბამისობა პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის**

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება	

**კომენტარი:**

---



---

**11. შესაბამისობა პროგრამის სტრუქტურასა და სწავლის შედეგებს შორის**

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება	

**კომენტარი:**

---



---

**12. პროგრამის საგნებს შორის დუბლირება (ცალკეული საკითხების დონეზე)**

დუბლირება არსებობს	
დუბლირება არ არის	

**კომენტარი:**

---

**13. არჩევითი საგნების რაოდენობა**

რელევანტურია	
არ არის რელევანტური	

**14. კრედიტები**

პროგრამაში სწორად არის განაწილებული	
პროგრამაში სწორად არ არის განაწილებული	
სასწავლო კურსებს სწორად აქვთ მითითებული	
სასწავლო კურსებს სწორად არ აქვთ მითითებული	

**კომენტარი:**

---

---

**15. დასახელებული სახელმძღვანელოები**

ხელმისაწვდომია	
არ არის ხელმისაწვდომი	
მითითებულია თანამედროვე სახელმძღვანელოები	
მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოები	
მითითებულია მხოლოდ კონსპექტი	

**კომენტარი:**

---

**16. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა (ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას აფასებს და ფორმას ავსებს შესაბამისი დარგის სპეციალისტი)**

პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას, რადგან მას ეს არ მოეთხოვება	
პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას, თუმცა მას ეს მოეთხოვება	
პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, მაგრამ არა სათანადო მოცულობით	
პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას სათანადო მოცულობით	

**კომენტარი:**

---



---

**17. სასწავლო პრაქტიკის ბაზა**

პარტნიორი დაწესებულების ბაზა უზრუნველყოფს პრაქტიკას	
პარტნიორი დაწესებულების ბაზა ვერ უზრუნველყოფს პრაქტიკას	
წარმოდგენილია შეთანხმება პარტნიორ დაწესებულებასთან	
არ არის წარმოდგენილი შეთანხმება პარტნიორ დაწესებულებასთან	
ხორციელდება თკუ-ს ბაზაზე	

**კომენტარი:**

---



---

**18. მატერიალური ბაზა (ინფრასტრუქტურა)**

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას	
ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ჩატარებას	



მიუთითეთ სრულიად კონკრეტულად (პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი მიმართულების აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის საფუძველზე) რა არის საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით:

---



---



---



---

**19. სწავლის გაგრძელების საშუალება**

მითითებულია სწორად	
სწორად მითითებული არ არის	
საერთოდ არ არის მითითებული	

კომენტარი:

---

**20. დასაქმების სფეროები**

მითითებულია სწორად	
სწორად მითითებული არ არის	
საერთოდ არ არის მითითებული	

კომენტარი:

---

**21. პროგრამის შემუშავების პროცესი**

პროგრამა განხილულია შესაბამისი აკადემიური პერსონალის (მოწვეული პედაგოგების) სხდომაზე	
წარმოდგენილია ოქმი	
ოქმი წარმოდგენილი არ არის	
პროგრამა საჯაროდ განხილული არ არის	

**კომენტარი:**

**22. შემაჯამებელი კომენტარები/რეკომენდაციები (გთხოვთ, კიდევ ერთხელ მიუთითოთ ყველა შენიშვნა, კომენტარი თუ რეკომენდაცია):**

---

---

---

**23. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა**

პროგრამას ეძლევა რეკომენდაცია ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე	
პროგრამას ეძლევა რეკომენდაცია ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე, მაგრამ მომავალში სასურველია პროგრამის შემდგომი სრულყოფა	
პროგრამას ეძლევა რეკომენდაცია ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე გარკვეული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ	
პროგრამას არ ეძლევა რეკომენდაცია	

**შემფასებლის ხელმოწერა:**

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:**

**თარიღი:**

სამაგისტრო (ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა

სამაგისტრო პროგრამა:	
პროგრამის ხელმძღვანელი:	

**1. წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე**

შევსებულია ყველა პუნქტი	
არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	
ბოლომდე არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	
წარმოდგენილი სილაბუსების რაოდენობა (%)	

**2.მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ-ე ბრძანებასთან ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ**

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

**მიუთითეთ, როგორი კვალიფიკაცია უნდა ყოფილიყო მითითებული**

**3. ანალოგი პროგრამები**

მითითებულია სწორად	
არ არის სწორად მითითებული	

**4. პროგრამის ხელმძღვანელის და მონაწილე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია**

შეესაბამება პროგრამის მიზნებს	
არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს	

**5. შესაბამობა პროგრამის სტრუქტურასა და სწავლის შედეგებს შორის**

სრული შესაბამობა	
------------------	--

სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება მოცემულ კლვალიფიკაციას	

**6. პროგრამის საგნებს შორის დუბლირება (ცალკეული საკითხების დონეზე)**

დუბლირება არსებობს	
დუბლირება არ არის	

**7. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ინგლისურად**

მითითებულია სწორად	
არ არის სწორად მითითებული	

მიუთითეთ, როგორ უნდა ყოფილიყო მითითებული

---

**8. სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების ეროვნული ჩარჩოს მეორე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით**

კომპეტენციების მიხედვით

სრული შესაბამობა	
სრული შეუსაბამობა	

**9. პროგრამაზე მიღების წინაპირობები**

წინაპირობები შეესაბამება პროგრამის მიზნებს	
წინაპირობები არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს	

**10. ინფორმაცია მისაღები კონტინგენტის შესახებ**

მხოლოდ ვიწრო სპეციალისტები	
----------------------------	--

სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები	
---	--

**11. მისაღები გამოცდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შეესაბამება მისაღებ კონტინგენტს	
არ შეესაბამება მისაღებ კონტინგენტს	

**12. მატერიალური ბაზა (ინფრასტრუქტურა)**

უზრუნველყოფს პროგრამის/კვლევის განხორციელებას	
ვერ უზრუნველყოფს პროგრამის/კვლევის ჩატარებას	

**13. თანხმობის წერილი კვლევის/პრაქტიკის ჩატარების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პარტნიორის ბაზა უზრუნველყოფს კვლევას/პრაქტიკას	
პარტნიორის ბაზა ვერ უზრუნველყოფს კვლევას/პრაქტიკას	

**14. მოწვეული ლექტორების რაოდენობა (გამოხატეთ პროცენტულად)**

კომენტარები/რეკომენდაციები:

---



---



---



---



---

შემფასებლის ხელმოწერა:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: თარიღი:

**პროგრამის გზამკვლევი შიდა ექსპერტებისათვის  
რა არის პროგრამის დახასიათება?**

პროგრამის დახასიათება წარმოადგენს სწავლების შედეგისა და მისი მიღწევის საშუალებების დეტალურ აღწერილობას. იგი სამი ძირითადი მახასიათებლისგან შედგება:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები
- სწავლების მეთოდები
- სტუდენტთა შეფასების მეთოდები

**პროგრამის დახასიათება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს:**

- სტუდენტებისთვის
- დამსაქმებლებისათვის
- გარე და შიდა შემფასებლებისათვის
- პოტენციური პარტნიორებისათვის ერთობლივი პროგრამების განვითარებისათვის
- თავად აკადემიური პერსონალისათვის

**რა ტიპის ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პროგრამის დახასიათება?**

- უსდ, სადაც მიმდინარეობს სწავლება
- უსდ, რომელიც ანიჭებს აკადემიურ ხარისხს
- ინფორმაცია ამ უსდ-ს აკრედიტაციის შესახებ
- აკადემიური ხარისხის სახელწოდება
- პროგრამის სახელწოდება
- პროგრამის მიზნები
- დარგობრივი სტანდარტები (თუ ასეთი არსებობს)
- სწავლის შედეგები: ცოდნა, უნარები და სხვა
- სწავლების, სწავლისა და სტუდენტთა შეფასების სტრატეგია
- პროგრამის სტრუქტურა, დონეები, მოდულები, კრედიტები
- პროგრამის დახასიათების შექმნის (განახლების) თარიღი

**გარდა ამისა, შეიძლება დაემატოს:**

- პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები
- უსდ მიღებული სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტაცია
- ხარისხის ინდიკატორები
- სტუდენტური სერვისი, კერძოდ სწავლის გაადვილების მიზნით
- სწავლებისა და სწავლის ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების მეთოდები
- ინფორმაცია უნდა იყოს პროგრამის ადეკვატური. მაგ. თუ პროგრამა მოიცავს საველე ან საწარმო პრაქტიკას, მაშინ ესეც უნდა დეტალურად აისახოს.

**პროგრამის დახასიათების შემუშავება აკადემიური პერსონალის მოვალეობაა.**

**რას გვინდა რომ მიაღწიონ ჩვენმა სტუდენტებმა?**

- “რა” გულისხმობს ცოდნას, საგნის გაგებას, შესაბამის ინტელექტუალურ, დარგობრივ უნარებსა და ჩვევებს და სხვადასხვა კონტექსტში მათი გამოყენების უნარს.

- პროგრამის დახასიათების შემუშავებისას შესაძლოა გამოიყენოთ შემდეგი ტიპის ფრაზები:
- ეს პროგრამა განსაკუთრებულია, რადგანაც ავითარებს ...
- ამ პროგრამის მთავარი ღირსება არის ...
- პროგრამის აკადემიური შინაარსი ფოკუსირებულია ...
- ყველაზე მნიშვნელოვანი ინტელექტუალური უნარები, რომლებსაც სტუდენტი ამ პროგრამის ფარგლებში განავითარებს, არის ...
- ყველაზე უფრო გამოყენებადი/საჭირო/აქტუალური პრაქტიკული უნარები, რომლებსაც სტუდენტი ამ პროგრამის ფარგლებში განავითარებს, არის ...
- კომპეტენცია ვითარდება ...
- პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება ცოდნა ...
- პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს ...

რა ათვლის წერტილები შეიძლება იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ხაზი გაესვას სწავლის შედეგების მნიშვნელობას და ადეკვატურობას აკადემიურ, პროფესიულ და საზოგადოებრივ კონტექსტში?

**ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ათვლის წერტილი:**

- უნივერსიტეტის მისია, ნებისმიერი სახის ინსტიტუციური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი.
- დარგობრივი სტანდარტები (თუ ასეთი არსებობს)
- პროფესიული და სხვა მარეგულირებელი ორგანიზაციების მთხოვნები
- დარგობრივი სტანდარტები (თუ ასეთი არსებობს)
- კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში არსებული კვალიფიკაციების დახასიათება
- საკვანძო კომპეტენციები.

**როგორ უნდა იქნეს გამოყენებული დარგობრივი სტანდარტები?**

დარგობრივი სტანდარტები დაგვეხმარება ახალი პროგრამის შედგენისას ან ძველი პროგრამის განახლების პროცესში.

**როგორ უნდა მიაღწიონ სტუდენტებმა დაგეგმილ სწავლის შედეგებს?**

უნდა განისაზღვროს სწავლების, სწავლისა და შეფასების შესაბამისი მეთოდები.

საგნის ცოდნასა და გაგებას ხელს ლექციები და სემინარები უწყობს. პირდაპირი სწავლების ეს მეთოდები ეყრდნობა სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების გამოყენებას და ხშირ შემთხვევებში საკურსო ნაშრომსაც მოიცავს. ცოდნა, როგორც წესი, ფასდება წერითი ან უფრო იშვიათად ზეპირი გამოცდის საშუალებით.

ისეთი ინტელექტუალური უნარები, როგორცაა ანალიზი, სინთეზი, შეფასება და პრობლემის გადაჭრა, ვითარდება აქტიური სწავლების პროცესში, რომელიც მოიცავს სამეცნიერო თუ გამოყენებითი პროექტების განხორციელებას, ლაბორატორიულ სამუშაოს, სავსე პრაქტიკას, ვორკშოპს და ა.შ. სტუდენტის ინტელექტუალური უნარების შემოწმება და შეფასება შესაძლოა წერითი გამოცდის, კერძოდ პრობლემაზე ორიენტირებული სავარჯიშოების ამოხსნის მეშვეობით. კვლევითი პროექტები (საკურსო, სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომები) საშუალებას იძლევა დარგობრივი ცოდნა და ინტელექტუალური უნარები ერთად წარმოჩინდეს.

პრაქტიკული უნარები ვითარდება ლაბორატორიული სამუშაოს, საველე პრაქტიკის, ინტერნშიპის ან ვორკშოპის დროს. სახელმძღვანელოს ნაცვლად ამ დროს გამოიყენება გზამკვლევი. შეფასებისას საჭიროა პრაქტიკული უნარების დემონსტრირება.

საკვანძო უნარები/კომპეტენციები, როგორცაა კომუნიკაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. ვითარდება არა რაიმე სპეციალური სასწავლო აქტივობის პირობებში, არამედ ბუნებრივად საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მაგ. წერითი კომუნიკაციის უნარი ვითარდება თხზულების ანდ დისერტაციის შესრულებისას, ზეპირი კომუნიკაციის უნარი – სემინარებზე პრეზენტაციისას, ჯგუფური მუშაობის უნარი საველე პრაქტიკის ან ერთობლივი პროექტების განხორციელებისას და ა.შ. საკვანძო უნარები შესაძლოა პროგრამის ფარგლებს გარეთაც ჩამოყალიბდეს (ე.წ. ექსტრაკურსულარული აქტივობების დროს) – სამუშაო გამოცდილება, სოციალური და კულტურული აქტივობები და ა.შ.

#### **სად შეიძლება მოვიძიოთ დამატებითი ინფორმაცია?**

პროგრამის დახასიათება უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას პროგრამის შესახებ. მითითებული უნდა იყოს, სად შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ან ცვლილებების შემტხვევაში პროგრამის ახალი ვერსიის მონახვა.



სილაბუსის შემოწმების ფორმა

სასწავლო კურსი:	
ლექტორი:	
ფაკულტეტი:	
მიმართულება:	
თარიღი:	

**1. სილაბუსში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე**

შევსებულია ყველა პუნქტი	
არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	
ბოლომდე არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	

**2. შესაბამობა კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის**

სრული შესაბამობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**3. შესაბამობა სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის**

სრული შესაბამობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**4. შეფასების შესაბამობა დადგენილ წესთან (მინ. სამი კომპონენტი, მაგ. 40% დასკვნითი გამოცდა და ა.შ.)**

სრული შესაბამობა დადგენილ წესთან	
შეუსაბამობა	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**5. სასწავლო კურსის ფორმატი**

ფორმატი შეესაბამება კურსის მიზნებს	
ფორმატი არ შეესაბამება კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**6. სასწავლო კურსის წინაპირობები**

წინაპირობები შეესაბამება კურსის მიზნებს	
წინაპირობები არ შეესაბამება კურსის მიზნებს	
არ ითვალისწინებს წინაპირობას	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**7. საკრედიტო სისტემის სწორი გამოყენება**

კრედიტები ადეკვატურად ასახავს სტუდენტის დატვირთვას	
კრედიტები არ შეესაბამება სტუდენტის დატვირთვას	
თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას შორის ოპტიმალურია	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**8. სასწავლო კურსის შინაარსი**

შეესაბამება კურსის მიზნებს და სწავლის შედეგს	
არ შეესაბამება კურსის მიზნებს და სწავლის შედეგს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**9. სავალდებულო ლიტერატურა**

შეესაბამება კურსის მიზნებს	
არ შეესაბამება კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები: \_\_\_\_\_

**10. დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა**

შეესაბამება კურსის მიზნებს	
არ შეესაბამება კურსის მიზნებს	

რეკომენდაციები:

---



---

**11. ხომ არ წარმოადგენს ეს სასწავლო კურსი სხვა კურსის დუბლირებას?**

კი (მიუთითეთ, რომლის)	არა
-----------------------	-----

თუ ეს სასწავლო კურსი წარმოადგენს სხვა სასწავლო კურსის დუბლირებას (გამომდინარე მისი შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან), მაშინ ის უნდა მიუბრუნდეს ფაკულტეტის დეკანს რეაგირებისათვის.

შემფასებლის ხელმოწერა:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

თარიღი:

## კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის

1. თქვენი აზრით, რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის მიზანი და რამდენად შეესაბამება აკადემიური ხარისხისა და შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

2. თქვენი აზრით, რამდენად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები) და რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზანს?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

3. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს და რამდენად უწყობს ხელს მათ მიღწევას?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

4. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

5. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

6. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები სწორადაა შერჩეული და ხელს უწყობს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

7. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

8. რამდენად კმაყოფილი ხართ სტუდენტთა განათლების ზოგადი დონით?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

9. რამდენად შეესაბამება ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს ?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

10. რამდენად კმაყოფილი ხართ ადმინისტრაციის საქმიანობით?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

11. კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

12. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად?

---

---

---

---

---

---

ფაკულტეტი

---

მიმართულება

---

გმადლობთ!

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში

20 \_\_\_\_ - 20 \_\_\_\_ წლებში

სახელი და გვარი \_\_\_\_\_

პირადი № \_\_\_\_\_

აკადემიური თანამდებობა \_\_\_\_\_

აკადემიური ხარისხი/სამეცნიერო ხარისხი/ \_\_\_\_\_

1	მონოგრაფიები	
2	სახელმძღვანელოები	
3	სამეცნიერო სტატიები	
4	სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა	
5	სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა/ სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების ორგანიზება	
6	საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელობა	
7	სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელობა	
8	სასწავლო დისციპლინები, რომლებშიც კითხვობით ლექციებს / ახორციელებთა სხვა საგანმანათლებლო საქმიანობას	
9	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	
10	კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება	
11	სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მკვლევარად ან პროფესორად მუშაობა, უცხოეთში წაკითხული ლექციები	
12	საექსპერტო და სხვა პროფესიული საქმიანობა	

სასწავლო კურსის შეფასება

გთხოვთ პასუხი გასცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს. ეცადეთ, რაც შეიძლება გულწრფელი იყოთ, რადგან თქვენი პასუხი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გამოკითხვა ანონიმურია.

სასწავლო კურსის დასახელება \_\_\_\_\_

ლექტორი \_\_\_\_\_

გაეცანით თუ არა სასწავლო კურსის სილაბუსს? \_\_\_\_\_

№	კითხვები	დიახ	არა	ნაწილობრივ
1.	თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა სასწავლო კურსი თეორიული ცოდნის მიღებას?			
2.	თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა სასწავლო კურსი პრაქტიკული უნარების განვითარებას?			
3.	კმაყოფილი ხართ თუ არა სწავლების მეთოდებით?			
4.	მოგწონთ თუ არა არსებული შეფასების სისტემა?			
5.	თქვენი აზრით, უზრუნველყოფილია თუ არა სასწავლო კურსი თანამედროვე მასალით (ლიტერატურა, პრეზენტაციები, თვალსაჩინოება და ა. შ.)?			
6.	კმაყოფილი ხართ თუ არა სასწავლო კურსის შინაარსით?			
7.	კმაყოფილი ხართ თუ არა ლექტორის კვალიფიკაციით?			
8.	საშუალოდ რა დრო გჭირდებათ დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად?	_____ ს. თ.		

რის შეცვლას ისურვებდით?

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ფაკულტეტი \_\_\_\_\_

სპეციალობა \_\_\_\_\_

კურსი \_\_\_\_\_

დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

გთხოვთ, პასუხი გაცეთ ქვემოთჩამოთვლილ კითხვებს. ეცადეთ, რაც შეიძლება გულწრფელი იყოთ, რადგან თქვენი პასუხი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამავე დროს, არუნდა მიუთითოთთქვენი სახელი დაგვარი, რადგან გამოკითხვანონიშურია.

ფაკულტეტი.....

სპეციალობა/კურსი.....

ლექტორი..... საგნის დასახელება.....

№	კ ი თ ხ ვ ა	პასუხი	
		დიახ	არა
1	წარმოადგინა თუ არა სილაბუსი		
2	ატარებს თუ არა ლექციებს წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით		
3	აცდენს ლექციებს		
4	მასალას გადმოსცემს გასაგებად და შეუძლია სტუდენტის დაინტერესება		
5	გვასწავლის თანამედროვე მასალებზე/ლიტერატურაზე დაყრდნობით		
6	ხელს უწყობს ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას		
7	კითხვებს ამომწურავად პასუხობს		
8	ხელს უწყობს თავისუფალი აზრის გამოთქმას		
9	ადვილად შეუძლია ურთიერთობა აუდიტორიასთან		
10	გვაძლევს დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის		
11	სრულად იყენებს ლექციისათვის განკუთვნილ დროს		
12	სტუდენტის ცოდნას აფასებს სამართლიანად		

შეფასების წესი:

გთხოვთ, მიუთითოთ კითხვიდან გამომდინარე პასუხების ვარიანტები **დიახ ან არა**

რის შეცვლას ისურვებდით?

---



---



---



---

გმადლობთ თანამშრომლობისა



## კითხვარი სტუდენტებისათვის

1. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას?

1. დიახ                      2. მხოლოდ ნაწილობრივ                      3. არა

2. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს?

1. დიახ                      2. მხოლოდ ნაწილობრივ                      3. არა

3. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად?

1. დიახ                      2. მხოლოდ ნაწილობრივ                      3. არა

4. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად?

1. დიახ                      2. მხოლოდ ნაწილობრივ                      3. არა

5. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს?

1. დიახ                      2. მხოლოდ ნაწილობრივ                      3. არა

6. მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე?

1. დიახ                      2. მხოლოდ ნაწილობრივ                      3. არა

7.1. არსებობს თუ არა სტუდენტთა მომსახურების სამსახური?

1. დიახ                      2. არ ვიცი                      3. არა

7.2. რა სახის ინფორმაციის მისაღებად მიმართავთ ამ სამსახურს?

---

8. უმეტესად, რა გზით ღებულობთ სწავლის პროცესთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას?

*(პასუხების რაოდენობა შეზღუდული არ არის)*

8.1. დაწესებულების ვებ-გვერდი

8.2. მეგობრები

8.3. პროფესორ-მასწავლებელი

8.4. ადმინისტრაცია

8.5. სხვა (ჩაწერეთ) \_\_\_\_\_

9. გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი დამატებით მომსახურებას (სპორტი და სხვ)?

1. დიახ

2. არა

10. დებულობთ თუ არა რეგულარულად ინფორმაციას არსებული სტიპენდიებისა ან გაცვლითი პროგრამების შესახებ?

1. დიახ

2. იშვიათად

3. არა

11. დებულობთ თუ არა საჭირო კონსულტაციას აკადემიური პერსონალისაგან?

1. დიახ

2. იშვიათად

3. არა

12. ზოგადად, რამდენად გაკმაყოფილებთ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია?

1. კი

2. ნაწილობრივ

3. არა

13. რამდენად შეესაბამება ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს ?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

14. კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

15. სარგებლობთ თუ არა ელექტრონული რესურსებით (ელექტრონული ჟურნალები, წიგნები და სხვ.)

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

16. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

-----  
-----  
-----

ფაკულტეტი

სპეციალობა

კურსი

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

**გმადლობთ!**

## კითხვარები დამსაქმებლისათვის

კითხვარის მიზანია იმ დამსაქმებლების გამოკითხვა, სადაც სავარაუდოდ შესაძლებელია დასაქმდნენ თქუ –ს კურსდამთავრებულები

დამსაქმებლის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

დამსაქმებლის ორგანიზაციის სახელწოდება \_\_\_\_\_

თანამდებობა/პოზიცია \_\_\_\_\_

1. გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც აწყდებით ადამიანური რესურსების მოძიებისას.  
\_\_\_\_\_
2. განიცდიან თუ არა თქვენი პროფილის ორგანიზაციები კვალიფიციური კადრების დეფიციტს?  
\_\_\_\_\_
3. რა წესით ხდება თქვენთან კადრების შერჩევა და რას ანიჭებთ უპირატესობას?  
\_\_\_\_\_
4. თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა იმ თეორიული ცოდნის მიღებას, რომელიც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?  
\_\_\_\_\_
5. თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა იმ პრაქტიკული უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?  
\_\_\_\_\_
6. თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს?  
\_\_\_\_\_
7. რა მიგაჩნიათ „ზედმეტად“ ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამაში?  
\_\_\_\_\_
8. გიწევთ თუ არა გადამზადება, სად და რა ფორმით გააკეთეთ ეს? რა დროსა და ფინანსურ სახსრებს მოითხოვს გადამზადება?  
\_\_\_\_\_
9. როგორ ავრცელებთ ინფორმაციას ვაკანსიების/სამუშაო ადგილების შესახებ (ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია, პირადი კავშირები და ა. შ.)?  
\_\_\_\_\_
10. გთხოვთ, მოგვაწოდოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს თქვენს (და არა მხოლოდ თქვენს) სფეროში შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა (ცვლილებები სასწავლო პროგრამებში, სტაჟირება და/ან პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებში და ა. შ.)?  
\_\_\_\_\_

**დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!**

## კითხვები დამსაქმებლისათვის (ინტერვიუ)

კითხვარის მიზანია იმ დამსაქმებლების გამოკითხვა, რომლებმაც კვალიფიკაციის შესაბამისად დროის მისაღებ პერიოდში დაასაქმეს თქუ-ს კურსდამთავრებულები

1. გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც აწყდებით ადამიანური რესურსების მოძიებისას.
2. განიცდიან თუ არა თქვენი პროფილის ორგანიზაციები კვალიფიციური კადრების დეფიციტს?
3. რა წესით ხდება თქვენთან კადრების შერჩევა და რას ანიჭებთ უპირატესობას?
4. რამდენად პასუხობს ჩვენი კურსდამთავრებულის თეორიული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
5. რამდენად პასუხობს ჩვენი კურსდამთავრებულების პრაქტიკული უნარები იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
6. ჩვენი კურსდამთავრებულის განათლებაში რა სახის ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
7. ჩვენი კურსდამთავრებულის რა სახის პრაქტიკული უნარები არ მიგაჩნიათ საკმარისად თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
8. რა მიგაჩნიათ „ზედმეტად“ ჩვენი კურსდამთავრებულის განათლებაში?
9. თუ დაგჭირდათ ჩვენი კურსდამთავრებულების გადამზადება, სად და რა ფორმით გააკეთეთ ეს? რა დრო და ფინანსური სახსრები მოითხოვა ამ გადამზადებამ?
10. როგორ ავრცელებთ ინფორმაციას ვაკანსიების/სამუშაო ადგილების შესახებ (ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია, პირადი კავშირები და ა. შ.)?
11. გთხოვთ, მოგვაწოდოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს თქვენს (და არა მხოლოდ თქვენს) სფეროში შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა (ცვლილებები სასწავლო პროგრამებში, სტაჟირება და/ან პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებში და ა. შ.)?

**დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!**

## კითხვარები კურსდამთავრებულებისთვის

კითხვარის მიზანია იმ კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომლებიც დასაქმდნენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად დროის მისაღებ პერიოდში

კურსდამთავრებულის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

მინიჭებული კვალიფიკაცია \_\_\_\_\_

დამსაქმებლის ორგანიზაციის სახელწოდება \_\_\_\_\_

1. გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც წააწყდით სამუშაოს მოძიების პროცესში?  
-----
2. რომელ წყაროებზე დაყრდნობით, რა გზებითა და მეთოდებით მოიძიეთ სამსახური (ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია, პირადი კავშირები და ა. შ.)?  
-----
3. კვალიფიკაციის მიღების შემდეგ დროის რა პერიოდში დასაქმდით?  
-----
4. რამდენად პასუხობს თქვენს მიერ მიღებული თეორიული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?  
-----
5. რამდენად პასუხობს თქვენს მიერ მიღებული პრაქტიკული უნარები იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?  
-----
6. რა სახის თეორიული ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?  
-----
7. რა სახის პრაქტიკული უნარები არ მიგაჩნიათ საკმარისად სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?  
-----
8. რას მიიჩნევთ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად „ზედმეტად“ თქვენს განათლებაში?  
-----
9. დაგჭირდათ თუ არა გადამზადება, სად და რა ფორმით გააკეთეთ ეს? რა დრო და ფინანსური სახსრები მოითხოვა ამ გადამზადებამ?  
-----

10. როგორ ფიქრობთ რა არის ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს კონკურენტუნარიანობას დღევანდელ შრომის ბაზარზე?

-----

11. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს უნივერსიტეტმა თავის კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად?

-----

**დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!**